საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2809
20/04/2023

2809-21-2-202304201419

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“
მის: ქ. თბილისი, კოტე აფხაზის 44, მეიდან პალასი, მე-2 სართული
ელ.ფოსტა: sandro@gigenergy.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6651 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში იცვლება მხოლოდ გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობა, თუმცა, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ასევე იცვლება გვირაბის ტრასა და სიგრძე, რაც წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული არ არის. ამასთან, გვირაბის გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობის ცვლილების გათვალისწინებით, დასაზუსტებელია ე.წ TBM ბაქნის ადგილმდებარეობის საკითხი;
- ცხრილ 2.7-ში მითითებულია, რომ ცვლილების შემდგომ სადაწნეო მილსადენის სიგრძე იქნება 543 მეტრი, ხოლო წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენს 530 მეტრს, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დასაზუსტებელია სადაწნეო მილსადენის საწყისი წერტილის GPS კოორდინატები (X-273417.45 Y-4726801.05);
- ვინაიდან წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ტერიტორიასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო